



ბანათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური

ფარმაცია, ბაკალავრიატი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

სსიპ - თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი: 30.07.2021

დასკვნის წარდგენის თარიღი: 11.08.2021

თბილისი
2021

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ¹

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211328701
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ფარმაცია
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია ²	ფარმაციის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	ფარმაცია Pharmacy - 0916
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მიითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო- სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240 ECTS
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მიითითებთ (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2019 წლის 7 ნოემბერი გადაწყვეტლება N198

¹ ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

² უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მაკა ჯავახია, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა

▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფს განსახილველად გადაეცა საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა **ფარმაცია**, რომელმაც აკრედიტაცია გაიარა 2019 წლის 7 ნოემბერს (გადაწყვეტილება N198). საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის პროცესი შედგა 2019 წლის 17-18 სექტემბერს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 21 აგვისტოს N744 ბრძანების თანახმად. ექსპერტთა ჯგუფი: დოქტ. ნ. შაშიაშვილი, სტუდენტი ექსპერტი ლ. ბოკუჩავა.

ექსპერტთა კომისიის მუშაობის შედეგად დადგინდა საგანმანათლებლო პროგრამის სრული შესაბამისობა აკრედიტაციის ხუთივე სტანდარტთან, ექსპერტთა ჯგუფს არ ჰქონდა რეკომენდაციები, მხოლოდ პროგრამის განმავითარებელი რჩევები, რომელთაგან ნაწილის რეალიზაცია შესაძლებელი გახდა ეტაპობრივად. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამამ მიიღო აკრედიტაცია 7 წლით.

იმ გარემოებებიდან გამომდინარე, რომ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის N69/ნ (10.04.2019) ბრძანების N3 დანართის თანახმად განისაზღვრა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენის მიზნით თვითშეფასების ანგარიშის წარდგენის ვადები, უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებამ ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა ექსპერტიზის მიზნით წარადგინა სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში.

საგანმანათლებლო პროგრამის პორტფოლიოში გარდა პროგრამისა და სასწავლო კურსების სილაბუსებისა, უსდ-მ წარადგინა შესაბამისი ანგარიშის ფორმა მტკიცებულებების პაკეტით (7 საქალაქო). შესაბამისობის ანგარიშში წარმოდგენილი კვალიფიკაციების ჩარჩოსთან შესაბამისობაში მოყვანილი და 2021 წლის 28 იანვარს N8 თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა დანართი დოკუმენტებით (მათ შორის: სასწავლო კურსების სილაბუსები, აკადემიური პერსონალის რეზიუმეები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები, მემორანდუმები პრაქტიკის განმახორციელებელ ობიექტებთან). არსებული მოცემულობის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა წარმოადგინა ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობის მიმართებით.

ინფორმაცია პროგრამის შესახებ: პროგრამის ხანგრძლივობა - 4 წელი; პროგრამის მოცულობა - 240 ECTS-ის კრედიტი (აკადემიური წელი - 60 კრედიტი, სემესტრი - 30 კრედიტი); 1 კრედიტი = 30 სთ (მოიცავს საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს).

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის MES 8 21 0000706223, 13/07/2021 ბრძანების საფუძველზე აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შემადგენლობით: მაკა ჯავახია (თავმჯდომარე); ნინო ქიმერიძე (წევრი) განახორციელა თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე *ფარმაცია* არაგვემეიური მონიტორინგი. პროგრამის შეფასება განხორციელდა დაწესებულებაში ვიზიტის გარეშე.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის შესაბამის სამსახურებთან დათქმის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის კვალიფიკაციის ჩარჩოსთან და აკრედიტაციის სტანდარტებთან შესაბამისობა დადგინდა პირველ, მეორე და მეოთხე სტანდარტებთან მიმართებაში.

- **რეკომენდაციები**

- 1.2 კომპონენტი

- ✓ სწავლის შედეგების ქვერუბრიკა *ცოდნა-გაცნობიერება* ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების მეექვსე დონის შესაბამისი გაზომვადი კრიტერიუმების საშუალებით.

- 2.3 კომპონენტი

- ✓ მოვიდეს უცხოური ენების სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების აღწერილობითი ნარატივი განალეულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- 2.3 კომპონენტი

- ✓ სასურველია, სილაბუსებში აისახოს საკონსულტაციო საათები

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)**

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

<p>1.1 პროგრამის მიზნები</p>
<p>პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების დოკუმენტისა და დანართების შესწავლის შემდგომ დადასტურდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მიზნებს ძირეული ცვლილება არ განუცდია. შესაბამისობის ანგარიშში წარმოდგენილი იყო სააკრედიტაციოდ 2021 წლის 28 იანვრის N8 თსსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის საბჭოს სხდომაზე დამტკიცებული საგანმანათლებლო პროგრამა. აკრედიტაციის ექსპერტთა შეფასებით წინამდებარე საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი შეესაბამება უმაღლესი განათლების მე-6 დონეს, ის დაკავშირებულია უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებთან, რომელიც თავის მხრივ გულისხმობს: კონკურენტუნარიანი, მაღალი დარგობრივი კომპეტენციის, თანამედროვე მოთხოვნების სპეციალისტების, პროფესიული ზრდის უნარის მქონე ფარმაციის ბაკალავრის მომზადებას.</p> <p>პროგრამის მიზნები და შესაბამისად სწავლის შედეგები პირდაპირ კავშირშია დასაქმების ბაზართან. რასაც ასევე ადასტურებს მტკიცებულების სახით წარმოდგენილი მემორანდუმები მსხვილ ფარმაკო-ტექნოლოგიურ მწარმოებლებთან.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 3); ✓ უნივერსიტეტის მისია;
<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ○ წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p>

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგი აგებულია უნივერსიტეტის მისიასა და ღირებულებებზე. სწავლის შედეგები ფორმირებულია ფარმაციის ბაკალავრის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღებულ სამ კომპეტენციაში: **ცოდნა-გაცნობიერება, უნარი და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა.**

ცოდნის კომპეტენციაში სტუდენტს შეუძლია ჩამოთვალოს და კრიტიკულად განსაზღვროს საბაზისო და ბიოსამედიცინო სასწავლო კურსების მნიშვნელობა ფარმაცევტულ დისციპლინებთან მიმართებაში. აღწერს და განმარტავს ფარმაცევტული ნედლეულის, პროდუქციის დამზადების, ანალიზის, სტანდარტიზაციის მნიშვნელობას ეფექტიანი, უსაფრთხო, და ხარისხიანი ფარმაცოთერაპიისათვის; აქვე უნდა განიმარტოს, რომ როგორც პროგრამაში, ისე სილაბუსებში უნდა დაკორექტირდეს **ცოდნა-გაცნობიერების** რუბრიკა და გაიწეროს განახლებული სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად.

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში კურსდამთავრებული გამოიმუშავებს კონკრეტული უნარების სპექტრს, როგორცაა: სამკურნალო ნედლეულის, სუბსტანციის, ფარმაცევტული პროდუქციის ანალიზის, ხარისხის კონტროლის, სტანდარტიზაციის, სხვადასხვა ტიპის ანალიზის მონაცემთა შეგროვების, კლასიფიცირების და დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბების; პრაქტიკის სივრცეში კონკრეტული მითითების საფუძველზე მცირემოცულობის პროექტის დაგეგმის და ეტაპობრივად განახორციელების.

კურსდამთავრებული იღრმავებს პასუხისმგებლობის და დამოუკიდებლობის ხარისხს, აქედან გამომდინარე, განსაზღვრავს პროფესიული განვითარების მიზნით სწავლის საჭიროებებს და დამოუკიდებლად გეგმავს როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური მუშაობის პროცესს.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები (დანართი 3, დანართი 4);
- ✓ თსსუ საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობის ანგარიში;

რეკომენდაციები:

- ✓ სწავლის შედეგების ქვერუბრიკა **ცოდნა-გაცნობიერება** ჩამოყალიბდეს უმაღლესი განათლების მეექვსე დონის შესაბამისი გაზომვადი კრიტერიუმების საშუალებით.

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

<p>2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</p>
<p>უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>თსუ-ს ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს სრული ზოგადი განათლების ატესტატის მქონე საქართველოს მოქალაქეებს, ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგების საფუძველზე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები მოიცავს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე მიღებულ შედეგებს, უნივერსიტეტის მიერ დადგენილი საგნების პრიორიტეტებისა და მათი შესაბამისი კოეფიციენტების გათვალისწინებით.</p> <p>სამედიცინო საგანმანათლებლო დაწესებულებების ინიციატივით, 2020 - 2021 სასწავლო წლიდან ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვისათვის აბიტურიენტი ვალდებულია ჩააბაროს შემდეგი საგნები:</p> <ul style="list-style-type: none"> • ქართული ენა და ლიტერატურა; • უცხოური ენა; • ბიოლოგია; • ერთ-ერთი შემდეგი საგანი: მათემატიკა, ქიმია და ფიზიკა (აბიტურიენტი ირჩევს მინიმუმ ერთს). <p>თსუ ფარმაციის ფაკულტეტზე ჩარიცხვისათვის, თითოეულ საგანში მინიმალური კომპეტენციის ზღვარია - 35%+1.</p> <p>ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე სწავლის უფლება აქვთ უცხო ქვეყნის მოქალაქეებს და მოქალაქეობის არმქონე პირებს, რომელთაც მოპოვებული აქვთ უმაღლესი განათლების მიღების უფლება იმ ქვეყნის კანონმდებლობის თანახმად, რომელშიც მიღებული აქვთ საშუალო ან მისი ეკვივალენტური განათლება;</p> <p>პროგრამაზე დაშვების წინაპირობები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის შინაარსთან, სწავლის შედეგებთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.</p> <p>ფარმაციის საბაკალავრო პროგრამაზე მიღების წინაპირობა გამჭვირვალეა, უზრუნველყოფილია შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე პირთა შერჩევა, რაც პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევის წინაპირობაა.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა (დანართი 3) ✓ თსუ-ს ვებგვერდი; www.tsmu.edu
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <p>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p>

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს ფარმაციის საბაკალავრო პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წელს და აგებულია ECTS სისტემის საფუძველზე, ემყარება სტუდენტის აკადემიურ დატვირთვას, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების მისაღწევად; პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება ბაკალავრიატის საფეხურს, შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას; კრედიტების გაანგარიშებისას გათვალისწინებულია კონკრეტული სასწავლო კურსის შინაარსობრივი მოცულობა და მის შესასრულებლად საჭირო დრო;

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლივობა 4 წელია (8 სემესტრი) და ითვალისწინებს 240 ECTS კრედიტის შესრულებას:

- 105 კრედიტი – საბაზისო და ზოგად-ტრანსფერული სასწავლო კურსები: მათ შორის,
- 48 კრედიტი – საბაზისო სამედიცინო დისციპლინები,
- 10 კრედიტი – უცხო ენები,
- 5 კრედიტი – სამეცნიერო კვლევის საფუძვლები;
- 91 კრედიტი – პროფესიული დისციპლინები;
- 30 კრედიტი – პროფესიული პრაქტიკა.

ამის გარდა, 14 კრედიტი განსაზღვრულია არჩევითი სასწავლო კურსებისათვის. სტუდენტი 4 წლის განმავლობაში, მისთვის სასურველ სემესტრებში (პირველი –მეშვიდე), ჯამურად ირჩევს 12 კრედიტს შეთავაზებული 16 ელექტიური სასწავლო კურსიდან, ხოლო 1 სემესტრის სტუდენტები ირჩევენ მათთვის განკუთვნილი 2 ელექტიური სასწავლო კურსიდან ერთ-ერთს. პროგრამა ჯამში მოიცავს 240 კრედიტს.

საგანმანათლებლო პროგრამის შედეგებს განსაზღვრავს ცალკეული სასწავლო კურსის სილაბუსებში ასახული სწავლის შედეგების ერთობლიობა, პროგრამაში შემავალი თითოეული

სასწავლო კურსი არის ლოგიკურად და თანამიმდევრულად დალაგებული.

საბაკალავრო პროგრამაში სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით გამოყენებულია სწავლების ისეთი მეთოდები, როგორებიცაა: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; ჯგუფური მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; როლური და სიტუაციური თამაშები; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; წერიტი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები და სხვა.

პროგრამის შესახებ ინფორმაცია ღია და გამჭვირვალეა. ნებისმიერ პირს აქვს შესაძლებლობა გაეცნოს პროგრამას, მის სტრუქტურას და დაშვების წინაპირობებს.

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგები იძლევა კურსდამთავრებულისათვის განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლისა და უკვე მიღებული კომპეტენციის ფარგლებში ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმების შესაძლებლობას.

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი არ შეცვლილა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 3)
- ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი 4)
- ✓ ვებგვერდი: www.tsmu.edu

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი

- ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

თსუ-ს ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ასევე, თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამის მიზნისა და სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეული სასწავლო კურსისთვის გამოყოფილი კრედიტების რაოდენობა (საკონტაქტო და დამოუკიდებელი საათების რაოდენობა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება უმაღლესი განათლების შესაბამის საფეხურს. პროგრამის სწავლის შედეგებთან მათი შესაბამისობის დასადგენად შემუშავებულია სწავლის შედეგების რუკა.

ასევე, საკონტაქტო და დამოუკიდებელ საათებს შორის თანაფარდობა ადეკვატურია და ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას. საკონტაქტო საათების რაოდენობა სხვადასხვა სწავლა-სწავლებლის მეთოდები (ლექცია, პრაქტიკული, სემინარი, ლაბორატორია და სხვა) შეესაბამება ამ კურსის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ დარგობრივი სილაბუსების სწავლის შედეგები სამ კომპეტენციაზეა გადაწყობილი, მაგრამ ცოდნის ნაწილი დასაკორექტირებელია აქტიური ზმნების აწმყო დროში. თითქმის ყველა სილაბუსში ვხვდებით ზმნებს: *იცის, ფლობს, აქვს*. ბუნდოვანია როგორ ზომავენ სწავლის შედეგს ?

თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები ფასდება შესაბამისი კომპონენტებით (მაგ., აქტივობა, ზეპირი გამოკითხვა, ტესტი, ქვიზი, პრაქტიკული სამუშაო, პრეზენტაცია, პროექტი, დასკვნითი გამოცდა) და სათანადო კრიტერიუმებით, რომლებიც განსხვავებულია სასწავლო კურსის სპეციფიკიდან გამომდინარე და აღწერილია სილაბუსში. ფასდება სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა. ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსის შეფასების სისტემაში თითოეული კომპონენტისთვის გაწერილია რუბრიკები და მოცემულია ქულების გრადაცია რუბრიკების მიხედვით. სილაბუსების ანალიზმა გვიჩვენა, რომ პროგრამის სასწავლო კურსები ხორციელდება დარგის მეცნიერების მიერ გამოცემული უახლესი ინფორმაციის შემცველი სახელმძღვანელოებით და ელექტრონული სალექციო კურსები ე.წ „ჰენდაუთები“, რომლებიც ხელმისაწვდომია სტუდენტებისათვის უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში. პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას ხელს უწყობს ისიც, რომ თსუ-ის ბიბლიოთეკა ჩართულია საერთაშორისო ელექტრონულ საბიბლიოთეკო ქსელში.

საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას უმაღლესი განათლების „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ მეექვსე საფეხურის სათანადო დონით.

გარკვეული შესწორება უნდა განხორციელდეს უცხოური ენების სასწავლო კურსის სილაბუსებში. უნდა აღინიშნოს, რომ წინამდებარე სილაბუსებში მოცემული სწავლის შედეგები მსგავსია. პირველ რიგში უცხოური ენების სწავლის შედეგები უნდა გაიწეროს უცხოური ენების სწავლისა და სწავლების ევროპული სარეკომენდაციო ჩარჩოს ენობრივი დონეების შესაბამისად, ხოლო ამასთან სწავლის შედეგების ცოდნის კომპეტენციები უნდა აღიწეროს უმაღლესი განათლების მე-6 დონის აღმწერის შესაბამისად..

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი3)
- ✓ სასწავლო კურსების სილაბუსები (დანართი4)

<p>რეკომენდაციები:</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ მოვიდეს უცხოური ენების სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლის შედეგების აღწერილობითი ნარატივი განახლებულ სტანდარტებთან შესაბამისობაში.
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ სასურველია, სილაბუსებში აისახოს საკონსულტაციო საათები
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <ul style="list-style-type: none"> ○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა <input type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input checked="" type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

<p>2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</p>
<p>პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.</p>
<p>სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი</p> <p>ფარმაციის საბაკალავრო პროგრამა, სწავლის შედეგებისა და საფეხურის შესაბამისად, უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის პრაქტიკული უნარების გამოუმუშავებას და/ან მათ სამეცნიერო/კვლევით პროექტებში ჩართვას, რაც შეესაბამება სწავლების პირველ საფეხურს. პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი ორგანიზებული და დაგეგმილია პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისად;</p> <p>პროგრამის აუცილებელ კომპონენტს წარმოადგენს პროფესიული პრაქტიკა (30 კრედიტი), რომლის მიზანია ხელი შეუწყოს სტუდენტებს განვიტარონ აუცილებელი პრაქტიკული უნარები და ის ხორციელდება თსუ-ის ფარმაციის ფაკულტეტის დეპარტამენტების, ფარმაციის</p>

ფაკულტეტის სამეცნიერო-კვლევითი და პრაქტიკული უნარ-ჩვევების ლაბორატორიის, თსსუ-ის იოველ ქუთათელაძის ფარმაკოქიმიის ინსტიტუტის, ფარმაცევტული კომპანიების „ავერსი-ფარმა“, „პე-ეს-პე-აფთიაქი“, ფარმაცევტული საწარმო „ნეოფარმი“-ის ბაზაზე, მათთან გაფორმებული მემორანდუმის საფუძველზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ✓ ფარმაცევტულ კომპანიებთან გაფორმებული მემორანდუმები (დანართი 7)

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

ფარმაციის საბაკალავრო პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსი, სადაც გაწერილია სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია. სასწავლო კურსის სილაბუსებში წარმოდგენილი სწავლება-სწავლის მეთოდები, შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების

<p>საფეხურს,</p> <p>სწავლების მეთოდები დაფუძნებულია სტუდენტზე ორიენტირებული სწავლების პრინციპებზე. ფარმაციის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის ცალკეული სასწავლო კურსის, ცალკეული კომპონენტის განსახორციელებლად გამოიყენება სწავლა/სწავლების სხვადასხვა თანამედროვე მეთოდი: ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი; ჯგუფური მუშაობა; დემონსტრირების მეთოდი; ახსნა-განმარტებითი მეთოდი; როლური და სიტუაციური თამაშები; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება; წერითი მუშაობის მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები და სხვა. სწავლების მეთოდების შერჩევასას გათვალისწინებულია სასწავლო კურსის მიზანი და შედეგი.</p> <p>პროგრამის სასწავლო კურსების სილაბუსებში გაწერილი სწავლა-სწავლების მეთოდები, შესაბამისობაშია სწავლების საფეხურსა და კურსის შინაარსთან.</p>
<p>მტკიცებულებები/ინდიკატორები</p> <ul style="list-style-type: none"> ✓ ფარმაციის საგანმანათლებლო პროგრამა (დანართი 3) ✓ სილაბუსები (დანართი 4);
<p>რეკომენდაციები:</p> <p>წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები</p>
<p>რჩევები პროგრამის განვითარებისთვის</p>
<p>საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):</p> <ul style="list-style-type: none"> ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
<p>მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)</p> <ul style="list-style-type: none"> ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
<p>შეფასება</p> <p>○ გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა</p> <ul style="list-style-type: none"> <input checked="" type="checkbox"/> შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან <input type="checkbox"/> არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

პროგრამის კომპონენტებში სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის #3 ბრძანებით დამტკიცებული შეფასების სისტემის თანახმად.

